



№ 1გ/566-17



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ

21 აპრილი 2017 წელი
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი მიროტაძემ

ზეპირი მოსმენის გარეშე, განვიხილე ბრალდებულ ს.გ.-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლაზე უარის თქმის შესახებ, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ბადრი ნიპარიშვილის 2017 წლის 13 აპრილის განჩინებაზე, მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი ჯავარაშვილის საჩივრის დასაშვებობის საკითხი და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს შსს წალკის რაიონული სამმართველოს წარმომავალი სისხლის სამართლის №039030217002 საქმე, განზრახ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი ს.გ.-ს მიერ ცივი იარაღის ტარების ფაქტზე.

საქმის მასალების მიხედვით, ს. გ. 2016 წლის 24 დეკემბერს, ქ. წ.-ში კ.-ს ქუჩაზე, უკანონოდ ატარებდა ცივი იარაღს - დანას.

აღნიშნულ საქმეზე, 2017 წლის 28 თებერვალს ს. ი.-ს მე გ.-ს (დაბ.: XXXX წლის XX დეკემბერს, პასპორტის ნომრით: XXNXXXXXXXX) წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით (იხ.: დადგენილება პირის ბრალდების შესახებ), რის შემდეგაც მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. ჯ.-მ მიმართა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს გამოყენება, ხოლო გირაოს გადახდის ვადად 30 (ოცდაათი) დღის განსაზღვრა.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ბადრი ნიპარიშვილის 2017 წლის 01 მარტის განჩინებით ბრალდებულ ს.გ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით. გირაოს შეტანის ვადა განისაზღვრა 30 (ოცდაათი) დღით. საქმეზე წინასასამართლო სხდომა დაინიშნა 2017 წლის 20 აპრილს.

წარმოდგენილი მასალების თანახმად, ბრალდებულის მიერ დადგენილ ვადაში არ ყოფილა შეტანილი გირაოს თანხა შესაბამის ანგარიშზე და არც გირაოს თანხის უძრავი ქონებით უზრუნველყოფა არ მომხდარა,



ამასთან, ს. გ.-ს 2017 წლის 31 მარტს ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის მიერ წარედგინა ბრალდება ახალი დანაშაულის ჩადენისთვის (საქ-ოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით და მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ორ ეპიზოდში), რის გამოც 2017 წლის 12 აპრილს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გიორგი ჯავარაშვილმა და მოითხოვა ბრალდებულ ს. გ.-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების - გირაოს, უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით - პატიმრობით შეცვლა.

შუამდგომლობაში პროკურორი უთითებდა, რომ 2017 წლის 01 მარტს ს.გ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მიერ გირაო 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, რომლის გადახდის ვადაც განსაზღვრული იყო 30 (ოცდაათი) დღე. აღნიშნულზე ს.გ.-ს 2017 წლის 27 მარტს განემარტა გირაოს არსი, კერძოდ საქ-ოს სსსკ-ის მე-200 მუხლის შინაარსი და ეცნობა, რომ თუ არ უზრუნველყოფდა გირაოს დადგენილ ვადაში შეტანას, პროკურორი მიმართავდა სასამართლოს შუამდგომლობით უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. ამასთან, ს.გ.-ს განემარტა მითითებული მუხლის მე-7 ნაწილის შინაარსიც, რომლის თანახმად, თუ ბრალდებულმა, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიების სახით შერჩეულია გირაო, დაარღვია ამ ღონისძიების გამოყენების პირობა ან კანონი, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. აღნიშნულზე შედგა შესაბამისი ოქმი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა ს. გ.-მ დაარღვია კანონი და გირაოს შეფარდებიდან რამდენიმე დღეში, მიუხედავად იმისა, რომ ის პროკურორის და მოსამართლის მიერ გაფრთხილებული იყო გირაოს არსის შესახებ, რომ მას არ უნდა ჩაედინა ახალი დანაშაული, არ გაითვალისწინა აღნიშნული და ჩაიდინა ახალი დანაშაული, რისთვისაც 2017 წლის 31 მარტს ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის მიერ წარედგინა ბრალდება საქ-ოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით და მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ორ ეპიზოდში. შესაბამისად, პროკურორმა მოითხოვა საქ-ოს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილების გათვალისწინებით ბრალდებულ ს.გ.-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების გირაოს, პატიმრობით შეცვლა.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ბადრი ნიპარიშვილის 2017 წლის 13 აპრილის განჩინებით, პროკურორის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და ს. გ.-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება გირაო 1500 (ათას ხუთასი) ლარი დარჩა უცვლელი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განჩინებაში აღნიშნა, რომ ბრალდებულმა ვერ შეიტანა გირაო, თუმცა შესაფასებელია ის, თუ რამდენად იწვევს აღნიშნული გარემოების არსებობა აღკვეთის ღონისძიების ავტომატურ შეცვლას. სასამართლომ შუამდგომლობის განხილული-გამოკვლეული გარემოებების საფუძველზე დაასკვნა, რომ ბრალდებულის მიერ გირაოს შეტანაზე განზრახ თავის არიდება არ იყო დადასტურებული. სასამართლოს შეფასებით ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა გირაოს თანხის გადახდის შეუძლებლობაზე უფრო მიუთითებს, ვიდრე იმაზე, რომ მას აქვს აღნიშნული თანხა/ქონება და არ შეაქვს, ამის მიზეზიც იქნა ახსნილი, რომ მისი მამის მიერ ვერ იქნა გადმოგზავნილი სათანადო თანხა გირაოს უზრუნველსაყოფად, რისი იმედიც ჰქონდა ბრალდებულს, როდესაც გირაოს შეფარდების სასამართლო სხდომაზე დაეთანხმა გირაოს გამოყენებას. რაც შეეხება, პროკურორის მითითებას ბრალდებულის მიერ გირაოს გამოყენების შემდეგ კანონის დარღვევის ფაქტზე - ახალი დანაშაულების ჩადენაზე, კერძოდ იმ ფაქტზე, რომ ს. გ.-ს 2017 წლის 31 მარტს ბრალად წარედგინა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით და მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა (ორ ეპიზოდში), სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ბრალდების შესახებ დადგენილება და არა გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც უტყუარად მიიჩნეოდა ს.გ.-ს მიერ დანაშაულის ჩადენა. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც პროკურორი აპელირებს 2017 წლის 05 მარტს ბრალდებულის მიერ სავარაუდოდ ახალი დანაშაულის ჩადენაზე, ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ ბრალდებული მისთვის გირაოს შეფარდების შემდეგ მოსალოდნელ შედეგებზე გაფრთხილებული იქნა



მხოლოდ 2017 წლის 27 მარტს, ანუ სავარაუდოდ მის მიერ ჩადენილი ახალი დანაშაულების ჩადენამდე, რაც თავის მხრივ გამორიცხავს ამ ნორმაზე პროკურორის მხრიდან მოთხოვნის საფუძვლიანობას. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ვერ დაეთანხმება პროკურორის მოსაზრებას, რომ გაფრთხილებას აქვს ფორმალური ხასიათი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ბრალდებულ ს. გ.-ს მიერ საქ-ოს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის ფაქტი და ამასთან, მიზანშეუწონლად ჩათვალა გირაოს თანხის შეუტანლობის გამო ბრალდებულისათვის პატიმრობის შეფარდება.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ბადრი ნიპარიშვილის 2017 წლის 13 აპრილის განჩინება გაასაჩივრა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გიორგი ჯავახიშვილმა, რომელიც ითხოვს ზემოხსენებული განჩინების გაუქმებას და ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გირაოს, პატიმრობით შეცვლას.

საჩივარში მითითებულია, რომ ს. გ.-ს განმარტებით მისი და, ცდილობდა ბანკიდან სესხის გამოტანას, რათა შეეტანა გირაოს თანხა, რაზეც ბანკმა განუცხადა უარი, თუმცა ბრალდებულის მიერ აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი წარმოდგენილი არ ყოფილა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ სხვა საქმეზე (ანალოგიურ დანაშაულზე, სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით) რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ შეფარდებული გირაო 1000 (ათასი) ლარი მას გადახდილი აქვს. შესაბამისად, ბრალდების მხარეს არ მიაჩნია მართებულად მსჯელობა, რომ ს. გ. განზრახ თავს არ არიდებს გირაოს თანხის გადახდას მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული ცხადდებოდა საგამოძიებო ორგანოში. მას ჰყავდა ადვოკატი და შესაბამისად, თუ ის ვერ ახერხებდა გირაოს თანხის გადახდას, შესაძლებელი იყო აღნიშნულის შესახებ შეეტყობინებინა პროკურორისთვის, რომელსაც ჰქონდა უფლება მიემართა სასამართლოსთვის და მოეთხოვა გირაოს თანხის მინიმუმამდე შემცირება, რაც ბრალდებულს არ გაუკეთებია. ბრალდების მხარის აზრით სწორედ აღნიშნული ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ის არ ცდილობდა და სურვილიც არ ჰქონდა გირაოს თანხა შეეტანა შესაბამის ანგარიშზე. ამასთან, ს. გ.-ს 2017 წლის 31 მარტს ბრალად წარედგინა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა (ორი ეპიზოდში), შესაბამისად, ბრალდებულმა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დროს დაარღვია კანონი, ჩაიდინა ახალი დანაშაული რისი უზრუნველყოფის მიზნითაც სწორედ აღკვეთის ღონისძიება იყო მის მიმართ გამოყენებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილების თანახმად, ბრალდების მხარეს მიზანშეუწონლად მიაჩნია ბრალდებულის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების შეცვლა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით - პატიმრობით (იხ.: საჩივარი).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია წყვეტს აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობის საკითხს, კერძოდ, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნებს, ამასთანავე, განიხილა თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად იგივე საკითხები ან გამოიკვლია თუ არა მან არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე.

შესაბამისად, შეამოწმა რა საჩივრის შესაბამისობა დასაშვებობისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბრალდების მხარის შუამდგომლობა განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196-206-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.



საქმის მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები. საქმეში არსებულ მტკიცებულებათა (ექსპერტიზის დასკვნის, ამოღებული ნივთმტკიცების, ბრალდებულისა და მოწმეების გამოკითხვის ოქმების, ს. გ.-ს ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის, მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 ივნისის განაჩენის, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს განაჩენის, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 იანვრის განჩინების და საქმეში არსებული სხვა მასალების) ერთობლიობა იძლევა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ შესაძლებელია ბრალდებულ ს. გ.-ს ჩადენილი ჰქონდეს წარდგენილი ბრალდებით გათვალისწინებული ქმედება. რაც შეეხება ფორმალურ საფუძველს, ბრალდებულისათვის ამჟამად ბრალად წარდგენილი ქმედებისა და მისი წარსული ნასამართლობების ერთობლიობა მიანიშნებს ს.გ.-ს მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე.

დგინდება ისიც, რომ ბრალდებულს მოცემულ საქმეზე თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2017 წლის 01 მარტის განჩინებით აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, რომლის შეტანის ვადად განისაზღვრა 30 (ოცდაათი) დღე. ხოლო, საქმეზე წინასასამართლო სხდომა დაინიშნა 2017 წლის 20 აპრილს.

სადავო არ არის ის ფაქტი, რომ დანიშნულ ვადაში ს. გ.-ს მოწმე მიერ არ მომხდარა გირაოს სახით განსაზღვრული თანხის შესაბამის ანგარიშზე შეტანა ან უზრუნველყოფა.

ამასთან, საქმის მასალების მიხედვით, გირაოს შეფარდებისას თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2017 წლის 01 მარტის განჩინებით ს.გ.-ს განემარტა მხოლოდ საქ-ოს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-5 ნაწილით გირაოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის გამო შერჩეული აღკვეთის ღონისძიების უფრო მკაცრი სახის აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის შესაძლებლობის თაობაზე, მაგრამ სასამართლოს მიერ არ განმარტებია იმავე კოდექსის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, გირაოს პირობების დარღვევის ან კანონის დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ განმარტებებს სასამართლოები თავისი ინიციატივით აკეთებენ, რაც ბრალდებულისათვის უფლებების განმარტების და მოსალოდნელი შედეგების თაობაზე ინფორმირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და მიზანშეწონილია. თუმცა ამის ვალდებულება სასამართლოს არ აქვს, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ თუ პირს არ განემარტება სრულად უფლებები და მოსალოდნელი შედეგები, მისთვის რაიმე ვალდებულების დაკისრება ან მისი საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ძირითად პრინციპებს, პროცესის მწარმოებელი ორგანო, როგორც სასამართლო, ისევე ბრალდების მხარე ყოველთვის ახდენს აღნიშნულზე ბრალდებულის ინფორმირებას, რომლის გათვალისწინებითაც, სასამართლომ ხსენებული განჩინების მე-6 პუნქტით აღნიშნული განმარტების თაობაზე შესაბამისი ოქმის შედგენა დაავალა გამომძიებელს/პროკურორს. მით უფრო, რომ საქ-ოს სსსკ-ის მე-200 მუხლის პირველი ნაწილი გირაოს მიღების შესახებ ოქმის შედგენასაც ითვალისწინებს.

წარმოდგენილი მასალების თანახმად, პროკურორის მიერ ბრალდებულისათვის უფლებების განმარტება, გირაოს გადაუხდელობის ან/და პირობების დარღვევის ან კანონის დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ ინფორმირება მოხდა 2017 წლის 27 მარტს, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმით.

დგინდება ისიც, რომ მართალია ს. გ.-ს სხვა საქმეზე სავარაუდოდ ახალი დანაშაულების ჩადენის გამო ბრალდება წარედგინა 2017 წლის 31 მარტს, მისთვის კანონის დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების თაობაზე განმარტების მიცემის შემდეგ, მაგრამ თავად ფაქტებს, რაზედაც წარდგენილი იქნა ბრალდება ადგილი ჰქონდა გაცილებით ადრე - 2017 წლის 05 მარტს. შესაბამისად, შუამდგომლობაში პროკურორის მითითება იმის შესახებ, რომ ბრალდებული პროკურორის და მოსამართლის მიერ



გავრთხილებული იყო გირაოს არსისა და კანონის დარღვევის - ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ, არ შეესაბამება საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და დასტურდება, რომ ს.გ.-მ შესაძლო ახალი დანაშაულები ჩაიდინა არა მისთვის საქ-ოს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგების განმარტების შემდეგ, არამედ მანამდე. ხოლო, ხსენებული განმარტების მიცემის შემდეგ მის მიერ კანონის დარღვევის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია.

საგამოძიებო კოლეგია აღნიშნული საკითხის განხილვისას ყურადღებას მიაქცევს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილის შინაარსზე, რომლის შესაბამისადაც, თუ ბრალდებულმა, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეულია გირაო, დაარღვია ამ ღონისძიების გამოყენების პირობა ან კანონი, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. ამდენად, მითითებული ნორმის პირდაპირი „ფორმალური“ გაგებით, რომელიც სპეციალური ნორმაა, თუ ბრალდებულმა დაარღვია ამ ღონისძიების გამოყენების პირობა ან კანონი, უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროკურორის სასამართლოსადმი შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია ბრალდებულის მიმართ აუცილებლად გამოიყენოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.

თუმცა, საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული დათქმის უპირობოდ, სასამართლოს მიერ საკითხის შესწავლისა და შემოწმების გარეშე გადაწყვეტა პირდაპირ ეწინააღმდეგება, როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების პრინციპებს, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს და გამორიცხავს რაიმე ცალკე არსებული პირობის არსებობას, რაც იმპერატიულად გამოიწვევდა პირის დაპატიმრებას. აღნიშნული ეწინააღმდეგება აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით დაცულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას (რომლის მიხედვითაც ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება). ევროპის სასამართლომ, უფრო ადრე კი ევრო კომისიამ, ფართო განმარტება მისცა აღნიშნულ უფლებას, რამდენადაც მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისათვის და საქმეში „დელკურტი ბელგიის წინააღმდეგ“ სასამართლომ განაცხადა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლიანი სამართალწარმოების განხორციელებას იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რომ მითითებული მუხლის შეზღუდულად განმარტება არ იქნებოდა შესაბამისობაში მის მდგომარეობასთან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებები გამოიყენება არა მარტო უშუალოდ საქმის განხილვის დროს, არამედ საქმის სასამართლოში განხილვამდე და განხილვის დამთავრების შემდეგაც და სისხლის სამართლის საქმეებზე ამ მუხლის გარანტიები ვრცელდება სამართალდამცავი ორგანოების მიერ წინასწარი გამოძიების წარმოების ეტაპზეც და შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლება სერიოზულად შეიძლება დაირღვეს, თუ ამ უფლების გარანტიები დაცული არ იქნება ჯერ კიდევ საწყის ეტაპებზე.

საკითხის ფორმალური წესით გადაწყვეტა და ნორმის ისე განმარტება, რომ მე-200 მუხლის მე-7 ნაწილი იმპერატიულად ავალეხს სასამართლოს ბრალდებულისათვის უფრო მძიმე აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას სასამართლოს როლს საკითხის გადაწყვეტაში აძლევს ფორმალურ ხასიათს, ხოლო თავად მიღებული გადაწყვეტილება კი ასეთ შემთხვევებში იქნება წინასწარ შემუშავებული, შაბლონური სახის, რაც ასევე დაარღვევს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დაცულ ღირებულებებს, რომლის მიხედვითაც დაკავებულ ან დაპატიმრებულ ყველა პირს უფლება უნდა ჰქონდეს გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში, რაც შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით. აღნიშნულთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპული სასამართლოს მიდგომა პირის თავისუფლების



დაცვაში სასამართლოს როლზე. ამ მხრივ საყურადღებოა რამდენიმე საქმე, მათ შორის, საქმე „გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, რომელშიც სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ წუხილს გამოთქვამს საქართველოს ეროვნული სასამართლოს მიერ წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან და გამოტანილ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც მიღებულ იქნა წინასწარ შემუშავებული სტანდარტული ბრძანების ფორმით. იმის ნაცვლად, რომ ეროვნულ სასამართლოს განუხორციელებინა თავისი მოვალეობა და მოეძიებინა მყარი არგუმენტაცია წინასწარი პატიმრობის გასამართლებლად, სასამართლო დაეყრდნო და შემოიფარგლა პატიმრობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების წინასწარ შემუშავებულ და წინასწარ დაბეჭდილ ზოგად ნიმუშში ჩაწერილი აბსტრაქტული დებულებებით. ხსენებული პრაქტიკა პირდაპირ მიუთითებს ხელისუფლების ეროვნული ორგანოების მიერ საკითხის განხილვის „შესაბამისი გულმოდგინების“ არარსებობაზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სულისკვეთებასთან.

შესაბამისად, იმისათვის, რომ რომ ჯეროვნად იქნას დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება და საკითხი განხილული იქნას შესაბამისი გულმოდგინებით, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ უნდა შემოწმდეს ის წინაპირობები, რამაც გამოიწვია ბრალდების მხარის მიერ საკითხის ინიცირება. ასეთ ვითარებაში კი იმ გარემოებათა დადგენის გარეშე, რომ განემარტა თუ არა ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შემდეგ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები და ის მოსალოდნელი შედეგები სრულად, რაც შესაძლოა მოჰყოლოდა მის მიერ აღკვეთის ღონისძიების პირობის (ან კანონის) დარღვევას და საკითხის მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით გადაწყვეტა და პირის დაპატიმრება დაარღვევს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით დაცულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პრინციპებს. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლს (რომლის თანახმადაც ბრალდებულს აქვს სამართლიანი პროცესის უფლება), მე-9 მუხლს (რომლის თანახმადაც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე), მე-12 მუხლს (რომლის თანახმადაც პირის კანონიერ ინტერესს პრიორიტეტი აქვს დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესთან შედარებით და პირის კანონიერი ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის პროცესში საზოგადოების ინტერესებს ემსახურება).

თავის მხრივ სასამართლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა.

ამდენად, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში თითოეული საკითხი უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, მოსამართლის შინაგანი რწმენის საფუძველზე და ნორმები უნდა განიმარტოს არა დამოუკიდებლად და მხოლოდ ვიწრო ფორმალური გაგებით ან შეზღუდულად, არამედ უნდა შეფასდეს ერთობლიობაში საქმის არსებითი გარემოებების გათვალისწინებით. მხედველობაში უნდა იქნას აგრეთვე მიღებული სხვა არსებითი ხასიათის გარემოებები, კერძოდ, ის თუ რამდენად არსებობს კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის საჭიროება და მოსალოდნელი რისკების ხარისხი ერთობლიობაში, უდანაშაულობის პრეზუმციის გათვალისწინებით, ამკარად, გადაწყობის თუ არა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებულ, პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლების უფლებას და საქმეში არსებული რელევანტური და საკმარისი მტკიცებულებებით უდავოდ დასტურდება თუ არა პირის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობა და გარდაუვალობა.



ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც დაპატიმრება გამოყენებული უნდა იქნას საგამონაკლისო ღონისძიების სახით. ასევე, ის არ უნდა იყოს სავალდებულო ხასიათის და არ უნდა იყოს მიმართული დასჯის მიზნებისათვის. ამასთან, პატიმრობის საგამონაკლისო ბუნება აღნიშნულ რეკომენდაციაში წარმოდგენილია სწორედ უდანაშაულობის პრეზუმფციის კონტექსტში. იმისთვის, რომ წარმოდგენილი რეკომენდაცია პრაქტიკაში მოქმედებდეს, აუცილებელია პროპორციულობის დაცვა, რაც, ეროვნული კანონმდებლობით, აკისრია როგორც შუამდგომლობის წარმდგენ ორგანოს, ისე სასამართლოს. ასევე, მნიშვნელოვანია, ევროპული სასამართლოს განმარტებებიც, რომლებმაც უფრო ცხადი გახადა პირის თავისუფლებაში ჩარევის შინაარსი და ფარგლები და მიუთითა, რომ ყველა შემთხვევაში, პირის თავისუფლებაში ჩარევის ნებისმიერი ღონისძიება განხილული უნდა იქნას, ერთი მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმფციისა და მეორე მხრივ, საქმის სამართლიანი განხილვისთვის პირის თავისუფლების მნიშვნელობის ფონზე.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ბრალდებულს სასამართლოს განჩინებით განემარტა მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად მოსალოდნელი შედეგის თაობაზე, კერძოდ განემარტა, რომ თუ დადგენილ ვადაში არ უზრუნველყოფდა გირაოს თანხის სრული მოცულობით შეტანას, მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება შეიძლება შეცვლილიყო უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. 2017 წლის 27 მარტამდე ბრალდებულს არ განმარტებია იმ მოსალოდნელი შედეგების შესახებ, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილი. შესაბამისად, ბრალდებულს არ განმარტებია და მისთვის უცნობი იყო ის შედეგები, რაც შესაძლოა მოჰყოლოდა მის მიერ აღკვეთის ღონისძიების პირობის (ან კანონის) დარღვევას კონკრეტულად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილთან მიმართებაში და ეს ყოველივე კი იმ გარემოების ფონზე, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლი იმპერატიულად ითხოვს ამ უფლება-მოვალეობათა განმარტებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგამოძიებო კოლეგიის შეფასებით ასეთ შემთხვევაში სასამართლო არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება ბრალდებულისათვის გირაოს პირობის ან კანონის დარღვევის გამო სასამართლოს განჩინებით აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაოს უფრო მკაცრი სახით აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობით შეცვლის თაობაზე.

რაც შეეხება, ბრალდებულის მიერ გირაოს თანხის გადაუხდელობას და ბრალდების მხარის მეორე არგუმენტს ბრალდებულის მიერ საქ-ოს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნის დარღვევის გამო პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით, აღნიშნულზე საგამოძიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს საქმის ფაქტობრივ გარემოებას, რომ ამ შემთხვევაში ბრალდებულს განჩინების მიხედვით აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისთანავე განემარტა გირაოს გადაუხდელობის გამო მოსალოდნელი შესაძლო შედეგების შესახებ. ამავე დროს, საგამოძიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ მხოლოდ ხსენებული განმარტება არ არის საკმარისი გირაოს გადაუხდელობის გამო გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების პატიმრობით შეცვლისათვის და ასეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა არსებობდეს შესაბამისი სტანდარტი.

კერძოდ, საგამოძიებო კოლეგია ამ შემთხვევაშიც ყურადღებას მიქცევს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-5 ნაწილის შინაარსზე, რომლის თანახმადაც, თუ ბრალდებულმა დადგენილ ვადაში არ უზრუნველყო სასამართლოს მიერ გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანა ან უძრავი ქონების შეტანა, პროკურორი სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.



ამდენად, მითითებული ნორმა კონკრეტულად განსაზღვრავს გირაოს ვადაში შეუტანლობის სამართლებრივ პროცედურებს და თავისი არსით ხაზს უსვამს ნორმის დისკრეციულობას. კერძოდ, ნორმა მიუთითებს, რომ გირაოს თანხის გადაუხდელობისას (ან თანხის უზრუნველსაყოფად უძრავი ქონების შეუტანლობისას), უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროკურორი მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით, უფრო მკაცრი აღკვეთის გამოყენების მოთხოვნით. ანუ, ამ შემთხვევაში ეს დანაწესი მიუთითებს პროკურორის უფლებამოსილებაზე და არა ვალდებულებაზე, რაც არსებული პრაქტიკითაც დასტურდება, რომ პროკურორი ყველა შემთხვევაში არ მიმართავს სასამართლოს აღნიშნული მოთხოვნით. ხოლო, იმ გარემოების ფონზე, რომ პროკურორს გააჩნია საკითხის წარმართვისათვის დისკრეცია, არ შეიძლება ეს ნორმა მხოლოდ სასამართლოსთვის იქნას მიჩნეული იმპერატიული ხასიათის ნორმად და ისეთ ვითარებაში, როდესაც პროკურორი მიმართავს სასამართლოს გირაოს გადახდისათვის დადგენილი ვადის გასვლის გამო გირაოს შეუტანლობის მოტივით ბრალდებულის მიმართ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, სასამართლო არ არის ვალდებული უპირობოდ, საკითხის შესწავლისა და გაანალიზების გარეშე გამოიტანოს გადაწყვეტილება პირისათვის პატიმრობის შეფარდების შესახებ, მითუმეტეს, თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებები ვერ დაასაბუთებს პირის გამოძიების ეტაპზე პატიმრობაში ყოფნის აუცილებლობას და თუ ამასთან, ფაქტობრივად მიღწეული იქნება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები.

ასეთ ვითარებაში ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენება და ყველა ასეთი სახის შუამდგომლობის ავტომატურ რეჟიმში დაკმაყოფილება, გირაოს ვერ გადახდის შესაძლო საპატიო მიზეზების გამოკვლევისა და საქმეში არსებული კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლების გაუთვალისწინებლად გადაწყვეტილების მიღება, ყველა შემთხვევაში დაფუძნებული იქნება ფაქტიურად წინასწარ შემუშავებულ და ფორმალურ დებულებებზე, რაც ასევე წინააღმდეგობაში მოვა სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპთან. (იხ.: ევროპული სასამართლოს რეკომენდაციები საქმე Giorgi Nikolashvili v. Georgia, no. 37048/04, para 73, რომელიც ზემოთ არის განხილული).

საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტების ზოგად პრინციპებზე და ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით საგამომიებო კოლეგია განმარტავს, რომ სასამართლოს მიერ გირაოს გადახდისათვის (ან გირაოს უძრავი ქონებით უზრუნველყოფისათვის) დაწესებული ვადის დარღვევის მხოლოდ თვით ფაქტი არ შეიძლება გახდეს პირისათვის შეფარდებული გირაოს პატიმრობით შეცვლის ერთადერთი და იმპერატიული საფუძველი და აუცილებლად უნდა დადგინდეს, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ბრალდებულის მიერ გირაოს თანხის შეგნებულად არ გადახდას, თუ საქმე გვაქვს გირაოს თანხის ვერ გადახდასთან, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს თავიდანვე, გირაოს ოდენობის დადგენის და მისი შეტანის ვადის განსაზღვრისას, როგორც ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნისას, ისე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობების ან სხვა ობიექტური გარემოებების არასრულფასოვნად შესწავლის და რეალურად გაუთვალისწინებლობის შედეგად. მით უფრო, რომ მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულის მძიმე ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის თავიდანვე იყო ცნობილი, რაც უნდა გაეთვალისწინებინა, როგორც პროკურორს გირაოს გადახდისათვის ვადის მოთხოვნის დროს, ისე სასამართლოს ვადის დადგენისას და კონკრეტულ შემთხვევაში, გირაოს გადახდის მიზნით ვადის წინასასამართლო სხდომამდე განსაზღვრა იყო მიზანშეწონილი, რათა მსგავს სიტუაციაში წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ შეაფასოს და გადაწყვიტოს აღნიშნული საკითხი, რომელსაც საქ-ოს სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე ისედაც იხილავს მხარის შუამდგომლობის შემთხვევაში.



საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ კონკრეტულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის ზემოაღნიშნულ გარემოებას აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა. ვინაიდან, ერთი მხრივ დამატებითობას მოკლებულია ის, რომ თუ კი ბრალდებულს რეალურად გააჩნია გირაოს გადახდის ან მისი უზრუნველყოფის შესაძლებლობა, თანაც იმ დროს, როდესაც გირაოს თანხა არის ფაქტობრივად მინიმალური და მისი გადაუხდელობის გამო შესაძლოა იგი აღმოჩნდეს პატიმრობაში, შეგნებულად აარიდოს თავი გირაოს შეტანას თუ არ იარსებებდა მართლაც ობიექტური გარემოებები და მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანია გაირკვეს სწორად იყო თუ არა განსაზღვრული თავიდანვე გირაოს ოდენობა და მისი გადახდის ვადა ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით, სახეზე იყო დადგენილ ვადაში გირაოს თანხის ან გირაოს უძრავი ქონებით უზრუნველყოფის შეგნებული, წინასწარგანზრახული არგადახდა, თუ საქმე გვაქვს ობიექტური მიზეზთა გამო დადგენილ ვადაში გირაოს თანხის გადახდის, ან გირაოს უძრავი ქონებით უზრუნველყოფის შეუძლებლობასთან. აღნიშნული საკითხების გამორკვევის გარეშე საგამოძიებო კოლეგიას უსაფუძვლოდ მიაჩნია მხოლოდ ვადის გასვლის ფაქტის გამო ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული გირაოს ნაცვლად პატიმრობის შეფარდება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარესაა და დადგენილ ვადაში გირაოს თანხის გადაუხდელობის ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, აღკვეთის ღონისძიების დამძიმების შესახებ სასამართლოში შუამდგომლობის აღძვრამდე პროკურორი ვალდებულია გამოარკვიოს გარემოებები, თუ რამ გამოიწვია გირაოს თანხის გადაუხდელობა და ხომ არ არსებობს გირაოს გადახდის შეუძლებლობის ობიექტური მიზეზები. იგივე საკითხები უნდა შეაფასოს მოსამართლემ გირაოს გადაუხდელობის გამო აღკვეთის ღონისძიების დამძიმების შესახებ პროკურორის შუამდგომლობის განხილვა-გადაწყვეტისას. წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტა შეიძენს ფორმალურ ხასიათს, ხოლო ფორმალური მართლმსაჯულების განხორციელება ყველა შემთხვევაში დაუშვებელია.

კონკრეტულ შემთხვევაში, დგინდება, რომ სასამართლომ სხდომაზე გამოიკვლია გირაოს გადაუხდელობის მიზეზი, იმსჯელა აღნიშნულთან დაკავშირებით მხარეთა პოზიციაზე და მათი ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბრალდებულის მიერ გირაოს შეტანაზე განზრახ თავის არიდება არ იყო დადასტურებული და ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა მიუთითებდა გირაოს თანხის გადახდის შეუძლებლობაზე. აღნიშნულს, ამ შემთხვევაში ეთანხმება საგამოძიებო კოლეგია და დამატებით ყურადღებას მიაქცევს ასევე ბრალდებულის ქონებრივ შესაძლებლობებსა და ოჯახურ მდგომარეობაზე, აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ ბრალდებული არ არის დასაქმებული, არ აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი, მისი და ასევე დედის - მ. გ. -ს გამოკითხვის ოქმებით დგინდება, რომ ოჯახს ეკონომიურად უჭირს, ბრალდებული ცხოვრობს დედასთან და სამი დედამამიშვილთან ერთად, უმცროსი და არის მე-7 კლასის მოსწავლე (სულ არიან შვიდი დედამამიშვილნი, საიდანაც სამი ცხოვრობს ცალკე), ამასთან საქმეში არ მოიპოვება ბრალდებულის ან თუნდაც მისი ოჯახის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია, მათი შემოსავლების შესახებ რაიმე მონაცემი და არ დგინდება ბრალდებულის მიერ გირაოს გადახდის რეალური შესაძლებლობა.

აქვე, აღსანიშნავია, რომ საპროცესო კანონმდებლობა მკაცრად განსაზღვრავს, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებს, ისე პატიმრობის შეფარდების საფუძვლებს, ხოლო, საქმის მასალებით კონკრეტულ შემთხვევაში დასტურდება ისიც, რომ ფაქტობრივად გამორიცხულია და არ არსებობს ბრალდებულის მიმალვის და სასამართლოში გამოუცხადებლობის მინიმალური ვარაუდის საფუძველიც კი - ბრალდებული ცხადდება საგამოძიებო ორგანოში და სასამართლოში. ამასთან, საქმეზე გამოძიება დამთავრებულია და საქმე ჯერ კიდევ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობის სასამართლოში შეტანამდე (შეტანილი იქნა 2017 წლის 12 აპრილს), არსებითი განხილვის მიზნით გადაგზავნილი იქნა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში - 2017 წლის 05 აპრილს (მიღებული იქნა სასამართლოში 2017 წლის



06 აპრილს) და უფრო მეტიც, დღეის მდგომარეობით საქმეზე დაწყებულია განხილვა - წინასასამართლო სხდომა, რომელიც დანიშნული იყო 2017 წლის 20 აპრილს.

ასეთ ვითარებაში კი, როდესაც საქმეზე უკვე მიმდინარეობს წინასასამართლო სხდომა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვა შესაძლებელია ასევე წინასასამართლო სხდომაზე და საქმის არსებითი განხილვის დროსაც, ხოლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემის საკითხთან ერთად განიხილავს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ, საგამოძიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ შესაბამისი კანონიერი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში ბრალდების მხარეს აქვს შესაძლებლობა ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხი დააყენოს (დააყენებინა) სწორედ წინასასამართლო სხდომაზე და პარალელურ რეჟიმში მოსამართლის მიერ საკითხის განხილვა, მაშინ, როდესაც საქმე უკვე წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განხილვაშია, კიდევ უფრო უსაფუძვლოს ხდის მოცემულ შემთხვევაში ბრალდების მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული საერთაშორისო და ასევე შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები გამორიცხავენ რაიმე ცალკე აღებული კონკრეტული პირობის არსებობას, რომელიც იმპერატიულად გამოიწვევდა პირის დაპატიმრებას. მითითებული საკითხი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, მოსამართლის შინაგანი რწმენის საფუძველზე ნორმათა ერთობლიობაში შეფასების, განმარტებისა და საქმის არსებითი გარემოებების, აგრეთვე ბრალდებულთან დაკავშირებით არსებული კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლების მხედველობაში მიღებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით საგამოძიებო კოლეგიამ მიიჩნია, მოცემულ საქმეზე არ დგინდება ბრალდებულის მიერ გირაოს გადახდისათვის განზრახ თავის არიდების ფაქტი, ასევე დაუსაბუთებელია მის მიმართ საქ-ს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის მოთხოვნა და ამავდროულად გასათვალისწინებელია, რომ დღეის მდგომარეობით სისხლის სამართლის საქმე შესულია სასამართლოში არსებითად განხილვის მიზნით (იხ.: მიმართვის წერილი საქმის სასამართლოში გადავ ზავნის შესახებ).

შესაბამისად, საგამოძიებო კოლეგიის შეფასებით თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ბადრი ნიპარიშვილის 2017 წლის 13 აპრილის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ბრალდების მხარის მოთხოვნა ბრალდებულ ს. გ.-სთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების - გირაოს, პატიმრობით შეცვლის თაობაზე, ამ შემთხვევაში არის სამართლიანი და მართლზომიერი. გარდა ზემოაღნიშნულისა საჩივარში არ არის მითითებული თუ რაში გამოიხატა გასაჩივრებული განჩინების დებულებათა მცდარობა, რომლის (ერთობლიობაში) მხედველობაში მიღებით სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ, საჩივრის დასაშვებობისათვის აუცილებელ პირობებს, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლომ კანონის სრული დაცვით განიხილა და შეაფასა არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები და გარემოებები, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების უფრო მკაცრი ღონისძიებით შეცვლის თაობაზე საკითხის გადაწყვეტისას. ამასთან, საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია და არც საქმის მასალებში არ მოიპოვება რაიმე ისეთი მტკიცებულება, რომელიც არსებით გავლენას მოახდენდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (განჩინებაზე).



ამდენად, გასაჩივრებული განჩინება კანონიერი და დასაბუთებულია, ხოლო წარმოდგენილი საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს (წინაპირობებს), რის გამოც იგი დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე, მე-200, 207-ე მუხლებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. ბრალდებულ ს. გ.-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლაზე უარის თქმის შესახებ, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ბადრი ნიპარიშვილის 2017 წლის 13 აპრილის განჩინებაზე, მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი ჯავარაშვილის საჩივარი დაუშვებლად იქნას ცნობილი;
2. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოს და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის პირებსა და ორგანოებს;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე
გიორგი მიროტაძე